

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
New Georgian University  
Faculty of Humanities and Social Sciences

ბესიკ მაშავა  
Besik Mashava

თეოდორე აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგია  
Theodore Abu Qurrah's Philosophical Theology

საგანმანათლებლო პროგრამა: ქრისტიანული ფილოსოფია  
Educational program: Christian Philosophy

ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

ავტორეფერატი

ფოთი  
2021

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე**  
ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: [www.ngu.edu.ge](http://www.ngu.edu.ge)

დისერტაციის დაცვა შედგება ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ქ. ფოთი, გურიის ქუჩა № 1).

## სარჩევი

შესავალი .....	4
საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა .....	4
კვლევის მიზანი .....	5
კვლევის ამოცანები .....	5
ჰიპოთეზა .....	6
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი .....	7
მეთოდოლოგია .....	8
კვლევის შედეგების აღწერა .....	9
ნაშრომის მეცნიერული სიახლე .....	10
დასკვნა .....	12

## შესავალი

**საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა.** თეოდორე აბუკურას გარდაცვალებიდან (IX ს.) მალევე მისი შემოქმედება გარკვეული ფორმით შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებასაც დაუკავშირდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულენოვანი ქრისტიანული აზროვნების განვითარებაში. თეოდორე აბუკურას (ორიგინალური ან მის შესახებ არსებული) თხზულებების გარკვეული ნაწილი შესულია სახელგანთქმული ქართველი მთარგმნელის, არსენ ვაჩეს-ძის მიერ შედგენილ ძეგლში „დოგმატიკონი“, რომელიც შუა საუკუნეების ქართული აზროვნების გამორჩეულ ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება და დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში. აქედან გამომდინარე, თეოდორე აბუკურას პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლის კუთხით, აუცილებელ საქმედ გვესახება მისი ქართულენოვანი თხზულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის გადამუშავება, რაც ნათლად წარმოაჩენს თეოდორე აბუკურას შემოქმედებისადმი ქართული ინტელექტუალური ტრადიციის მრავალსაუკუნოვან ინტერესს. ასევე, აღსანიშნავია თეოდორე აბუკურას ეპოქის სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური გარემოს შესწავლა, არსებული სამეცნიერო მასალების მოძიება და სათანადო ინტერპრეტაცია, რაც გადამწყვეტია თეოდორე აბუკურას შესახებ გამართული დისკუსიების შესწავლის თვალსაზრისით.

ამასთან ერთად, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის გამოკვლევის საგანია თეოდორე აბუკურას საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნების სტილი და მეთოდოლოგია. მისი ნააზრევი მიმართულია მუსლიმი საზოგადოებისადმი, რომლისთვისაც მანამდე არსებული ქრისტიანული აზროვნების პრაქტიკები, თეოლოგიური არგუმენტები და ავტორიტეტები იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამ კონტექსტში არის აღსანიშნავი თეოდორე აბუკურას მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც დიალექტიკური და დედუქციური ინსტრუმენტების გამოყენებით აზროვნების ლოგიკურ ჯაჭვს მიჰყვება და გონების ფარგლებში იაზრებს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებას. შესაბამისად, ამ საკითხის რეაქტუალიზება განაპირობა თეოდორე აბუკურას აზროვნებითა და შემოქმედებით დაინტერესებამ, რაც, ასევე, განპირობებული იყო „დოგმატიკონის“ მიმართ ინტერესით. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია უკანასკნელი ასწლეულის უცხოენოვანი პუბლიკაციების

შეფასება, რამაც აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

**კვლევის მიზანი.** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს თეოდორე აბუკურას აზროვნების ტიპისა და მისი ფილოსოფიური თეოლოგიის ბუნების დადგენა. შესაბამისად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თეოდორე აბუკურას აზროვნების მახასიათებლები და მისი ორთოდოქსული ღირებულება. ეს კი, თავის მხრივ, მიმართულია „დოგმატიკონის“ ავტორის ეროვნული პროგრამისა და მისი შორს მიმავალი მიზნების წარმოჩენისკენ. ამასთან ერთად, თეოდორე აბუკურას ნაშრომების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ შუა საუკუნეების ქართული აზროვნების უნიკალური ხასიათი; კერძოდ, აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგიის კვალდაკვალ, დავინახოთ ქართული აზროვნების ინტერდისციპლინურობა და მისი ყოვლისმომცველი ინტერესი.

ასევე, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევა-ძიების მიზანია თეოდორე აბუკურას შესახებ ყველა არსებული ინფორმაციის ერთ ნაშრომში თავმოყრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია „დოგმატიკონში“ თეოდორე აბუკურასთან დაკავშირებული ძეგლების იდენტიფიცირება და მათი სქემატური აღწერილობა. ეს პროცესი, თავის მხრივ, დაკავშირებულია თეოდორე აბუკურას შესახებ ქართულ და უცხოურ საცავებში არსებული სამეცნიერო ინფორმაციის მოძიებასა და მათ კომპარატივისტულ ანალიზთან, ბიოგრაფიული მონაცემების დაზუსტებასა და ყველა შესაძლო ორიგინალური მასალის გამოვლენასთან.

**კვლევის ამოცანები.** თანამედროვე საერთაშორისო გამოკვლევებში თეოდორე აბუკურას პიროვნებისა და აზროვნების შესახებ ობიექტური სურათის დადგენისთვის, ერთი მხრივ, აუცილებელ საქმედ გვესახებოდა თეოდორე აბუკურას შესახებ ქართული სამეცნიერო ლიტერატურისა და ხელნაწერების თანმიმდევრული მიმოხილვა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კუთხით არსებული საერთაშორისო გამოკვლევების მეტად ინტეგრირება ქართულ სამეცნიერო სივრცეში. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში თეოდორე აბუკურას ეპოქისა და არაბულენოვანი ქრისტიანული ტრადიციის მეცნიერული შესწავლის გააქტიურებამ დღის წესრიგში დააყენა არსებული ცნობებისა და გამოკვლევების ერთიანი ინტერპრეტაციის აუცილებლობა. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია მისი აზროვნებისა და ქრისტიანული

მსოფლმხედველობის სიღრმისეულ შესწავლა-გააზრებასთან. თეოდორე აბუკურას მდიდარი ინტელექტუალური მემკვიდრეობის კონცეპტუალური ანალიზისა და დაკვირვების შედეგად იკვეთება მისი თეოლოგიური აზროვნების ფილოსოფიური სტრუქტურა და მეთოდოლოგია, რაც, ასევე, იპყრობს ჩვენს ყურადღებასა და განსაზღვრავს საკითხის სამეცნიერო შინაარსს.

**ჰიპოთეზა.** თეოდორე აბუკურამ ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში შექმნა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ კულტურებს შორის დიალოგის უნიკალური პრეცედენტი და კარგი საფუძველი მოამზადა მისი შემდგომი განვითარებისთვის. იგი მოღვაწეობდა არატრადიციულ სივრცეში, სადაც ქრისტიანული ღმერთის ქადაგების ტრადიციული პატრისტიკული გამოცდილება პრაქტიკულად ვერ აღწევდა დასახულ მიზანს. მისი ორიგინალური აზროვნების დამსახურებით სიზუსტის ზედმიწევნითი დაცვით მოხერხდა მართლმადიდებლური ღმერთის დიფერენცირება ღმერთის ისლამური და სხვა შიდა ქრისტიანული წარმოდგენებისაგან. კერძოდ, თეოდორე აბუკურა, ფილოსოფიისა და თეოლოგიის ორიგინალური შეკავშირებით, წარმოადგენს ქრისტიანობის აპოლოგიის უნიკალურ სტილს, რაც ეფუძნება ცოდნისა და რწმენის ორიგინალურ სინთეზსა და ქრისტიანული ფილოსოფიის კრებსით მეთოდოლოგიას. ეს მეთოდოლოგიური არსენალი ემსახურება თეოდორე აბუკურას ორთოდოქსულ მიზანს, რომელიც ისლამთან დიალოგის დროს ჭეშმარიტების დადგენისა და ინტერპრეტაციისას უპირატესობას ცოდნას ანიჭებს. სწორედ ამ ტიპის სააზროვნო სისტემა განსაზღვრავს და განაპირობებს მისი შემოქმედების სპეციფიკურ ხასიათს და განასხვავებს მას წინარე ტრადიციის მოაზროვნეებისაგან. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ თეოდორე აბუკურამ ჩამოაყალიბა ფილოსოფიური თეოლოგიის უნიკალური მოდელი, რომელიც ადეკვატურად გაუმკლავდა არსებულ გამოწვევას და კარგი საფუძველი შექმნა მისი შემდგომი განვითარებისთვის. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სწორედ ამ ხედვას ეყრდნობა და თეოდორე აბუკურას ორიგინალური ფილოსოფიური თეოლოგიის სპეციფიკის ჩვენებასა და ანალიზს ისახავს მიზნად.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

თეოდორე აბუკურას თხზულებების მეცნიერული გამოცემა XVII საუკუნიდან იწყება და თანამედროვე ეპოქაშიც აქტუალურია. ასწლებების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილ ხელნაწერთა გადამუშავება, მეცნიერული პუბლიკაციების და თარგმანების გამოცემა. დღესდღეობით მრავალ ენაზე (არაბული, ძველი ბერძნული, ლათინური, ძველი ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური და სხვ.) მოიპოვება მისი ნაშრომები, რომლებიც თეოდორე აბუკურას ირგვლივ წარმოებული გამოკვლევების კუთხით დიდად ფასობს და ინდივიდუალური მიდგომებითაც გამოირჩევა. ამასთან ერთად, თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თეოდორე აბუკურას თხზულებათა ტექსტუალური ტრადიციის შესწავლის საქმეში.

ქართულ აზროვნებაში თეოდორე აბუკურას შესახებ პირველ მითითებას „კლარჯულ მრავალთავში“ (IX-X სს.) ვხვდებით. თეოდორე აბუკურაზე ერთ-ერთი ადრეული ცნობა, ასევე, უკავშირდება „მიქაელის მარტვილობის“ პირველ ძველქართულ რედაქციას, რომელშიც თეოდორე აბუკურას ცხოვრების შესახებ მკაფიო მინიშნებებია. შემდეგი ეტაპი, თეოდორე აბუკურას რეცეფციის თვალსაზრისით, უკავშირდება არსენ ვაჩეს-ძის მიერ შედგენილ „დოგმატიკონს“, რომელშიც აბუკურას ინტელექტუალური მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია შესული.

მოგვიანებით, XX საუკუნეში, თეოდორე აბუკურას პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარა კორნელი კეკელიძემ. 1939 წელს პავლე ინგოროყვამ „აბუკურასთან“ დაკავშირებით გამოაქვეყნა გამოკვლევები ჟურნალ „მნათობის“ სხვადასხვა ნომერში, რომლებშიც ვრცლად მიმოიხილა მისი წარმომავლობისა და ავტორობის საკითხი. 1980 წელს ლეილა დათიაშვილმა გამოსცა თეოდორე აბუკურას სახელით ცნობილი ქართულენოვანი თარგმანები, მცირე გამოკვლევების, საძიებლებისა და ლექსიკონის თანხლებით (თეოდორე აბუკურა, *ტრაქტატები და დიალოგები*, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, საკუთარ სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ლეილა დათიაშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“, 1980). მის სახელსავე უკავშირდება თეოდორე აბუკურას ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ არაერთი ნაშრომი. ბოლო რამ-

დენიმე წლის განმავლობაში ჩვენც რამდენიმე გამოკვლევა გამოვაქვეყნეთ თეოდორე აბუკურასა და მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

## **მეთოდოლოგია (კომპარატივისტიკა, ჰერმენევტიკა, ინტერდისციპლინურობა)**

სადისერტაციო ნაშრომში დასმული ამოცანის სირთულეებიდან გამომდინარე, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა კვლევის მეთოდოლოგიური ბაზისისა და სტრუქტურის განსაზღვრა. ეს პროცესი, პირველ რიგში, გულისხმობდა არსებული მასალების იდენტიფიკაციასა და მიღებული შედეგების კომპარატივისტული მეთოდით დამუშავებას. უფრო ზუსტად, თეოდორე აბუკურას ტექსტუალური ტრადიციის გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა თეოდორე აბუკურას თხზულებების გამოცემათა შედარებასა და თემატურ აღწერილობას. ამასთან ერთად, ტექსტების შედარების ეს უნივერსალური მეთოდი დაგვეხმარა თეოდორე აბუკურას ინტელექტუალური ამოცანებისა და მიზნების ადეკვატურად გაგებაში. გარდა ამისა, თეოდორე აბუკურას შესახებ არსებული გამოკვლევებისა და პუბლიკაციების კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა აბუკურას პიროვნებისა და შემოქმედების სათანადო ინტერპრეტაცია.

წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი - მოძიებული ლიტერატურის ინტერპრეტაციისა და საგნობრივი მსჯელობის კვალდაკვალ - დაეფუძნა ფილოსოფიური ჰერმენევტიკის მეთოდს და განვითარდა მისივე საზღვრებში. არსებული ტექსტების ჰერმენევტიკული ანალიზის მიზანს წარმოადგენდა თეოდორე აბუკურას მსოფლმხედველობისა და აზროვნების ადეკვატური წვდომა. ამასთანავე, თეოდორე აბუკურას მსოფლმხედველობის თეორიული სტრუქტურისა და აზროვნების სპეციფიკის გამოკვეთის დროს აქტიურად გამოვიყენეთ ჰერმენევტიკული მეთოდის კრებსითი ინსტრუმენტები.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდი, რაც გულისხმობს თეოდორე აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგიის სპეციფიკის გასაგებად საჭირო ყველა შესაძლო სამეცნიერო დისციპლინის (ისტორია, ფილოლოგია და სხვ.) გათვალისწინებასა და თავად ფილოსოფიური თეოლოგიის ურთიერთმკვეთი და საზღვრითი საკითხების/პრობლემების განხილვასა და ანალიზს.



## კვლევის შედეგების აღწერა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე არაბულენოვანი მოაზროვნის თეოდორე აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგია. იგი ეყრდნობა მისივე თხზულებების, თარგმანებისა და ავტორის ირგვლივ არსებული გამოკვლევების მრავალფეროვან მონაცემებს. ის სამი ნაწილისაგან შედგება და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც დასმული ამოცანის გადაჭრისა და გაგების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნით.

თავდაპირველად შევხებით თეოდორე აბუკურას შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ისტორიულ კონტექსტსა და აღწერილობას, რომელიც სამი ქვეთავისაგან შედგება. პირველ ქვეთავში წარმოდგენილია თეოდორე აბუკურას თხზულებათა ტექსტუალური ტრადიციის ვრცელი ისტორია, რომელიც მოიცავს არაბულ, ძველ ბერძნულ, ლათინურ, ძველ ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე შესრულებული გამოცემების მიმოხილვას. შემდეგ ქვეთავში წარმოდგენილია თეოდორე აბუკურას თხზულებათა აღწერილობა და ნუსხა საქართველოში უძველესი S-1463 (XI-XII სს.) ხელნაწერის მიხედვით. ბოლოს, ვრცლად მიმოვიხილავთ თეოდორე აბუკურას შესახებ არსებულ ქართულ სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურას და ვაფასებთ ხსენებული კვლევების მიმართებას თანამედროვე გამოკვლევების შედეგებთან.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია თეოდორე აბუკურას ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-კულტურული ასპექტები. პირველ რიგში, აქ საუბარია ბიოგრაფიული ცნობების პრობლემური მხარეების შესახებ, რომლებიც მისი ცხოვრების დეტალებზე რაიმეს დანამდვილებით თქმის შესაძლებლობას ართულებს. ხსენებულ ნაწილში, ასევე, წარმოდგენილია მიქაელ საბაწმინდელის ორი ძველქართული რედაქციის ურთიერთმიმართება თეოდორე აბუკურას პიროვნებასთან. ამასთან ერთად, განხილულია თეოდორე აბუკურას როლი „კავკასიური ფილოსოფიის“ კონტექსტში და წარმოდგენილია შუა საუკუნეების სომხურ-ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირში. აქვეა წარმოდგენილი მელქიტური საზოგადოებისა და ადრე აბასიდური ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური გარემოს შეფასება, რომელშიც აბუკურას, როგორც ქრისტიან ეპისკოპოსს, უწევდა მოღვაწეობა. ასევე, შესწავლილია არაბულენოვანი თეოლოგიისა

და აპოლოგეტიკის ინტელექტუალური გარემო, რომელიც მკვეთრი ფილოსოფიური ხასიათითაც გამოირჩევა.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე ნაწილში თეოდორე აბუკურას თხზულებებისა და დიალოგების ანალიზის მეშვეობით წარმოვადგენთ თეოდორე აბუკურას საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების მოდელს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჭრილში. საკითხების თემატური განხილვა საშუალებას გვაძლევს თეოდორე აბუკურას აზროვნება შევაფასოთ ქრისტიანული ფილოსოფიის ფარგლებში. თავდაპირველად, ჩვენ მიერ განხილულია მისი ფილოსოფიური თეოლოგიის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც მისივე თხზულებებზე დაკვირვების კვალდაკვალ არის ჩამოყალიბებული. ქრისტიანული ფილოსოფიის ცნებების, გონივრული არგუმენტების, „ბუნების თეოლოგიისა“ და მორალური კატეგორიების საფუძველზე წარმოდგენილია თეოდორე აბუკურას თეოლოგიის ფილოსოფიური ხასიათი. ასევე, მსოფლიო კრებათა აბუკურასეული ინტერპრეტაციის საფუძველზე, წარმოდგენილია მისი აპოლოგეტური მიზნები, რომლებიც ბიზანტიურ ორთოდოქსულ ტრადიციასთან მკაფიო შინაარსობრივ თანხვედრაშია. აქედან გამომდინარე, ვრცლად ვეხებით თეოდორე აბუკურას მოძღვრებას ხატთაყვანისცემის შესახებ, რომელსაც (სხვა ბერძნულენოვან ლიტერატურასთან ერთად) თვალსაჩინო ადგილი უკავია წმინდა ხატების თაყვანისცემის შესახებ გამართულ დისკუსიებსა და მსჯელობებში; ასევე, განხილულია თეოდორე აბუკურას ხედავთავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც მრავლისმომცველია და წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. ცალკე აღნიშვნის ღირსია აბუკურას განმარტებები ტრიადოლოგიასა და ქრისტოლოგიის შესახებ ყურანსა და სახარებას შორის წარმართულ დისკუსიებში, რომლებიც, ორთოდოქსული და პატრისტიკული ტრადიციის კვალდაკვალ, ორიგინალურადაა განვითარებული.

## ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სახით, პირველად ქართულ სამეცნიერო სივრცეში, მოცემულია თეოდორე აბუკურასთან დაკავშირებული თხზულებების ტექსტუალური ტრადიცია, მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ვრცელი აღწერილობა და ისტორიული მასალების თემატური ანალიზი. კერძოდ, დისერტაციაში,

თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე, განხორციელდა თეოდორე აბუკურას შესახებ არსებული ქართულენოვანი გამოცემებისა და პუბლიკაციების ხელახალი გააზრება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სასარგებლო იქნება არსენ ვაჩეს-ძის მიერ შედგენილი „დოგმატიკონის“ მსოფლმხედველობრივი კრედოს გასაგებად, რადგან ის აჩვენებს „დოგმატიკონის“ ავტორის პროგრამული ხედვების შინაგან კავშირს თეოდორე აბუკურას მსოფლმხედველობასთან.

2. თეოდორე აბუკურას ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-კულტურული ასპექტების კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის ქართული რედაქციის მიმართება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევის შედეგებთან. ჩვენი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის ქართული რედაქციისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც იგი ფიქციურ თხრობად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება გადაჭარბებულია და მას მთლიანობაში ვერ გავიზიარებთ, სანამ არ იქნება დასაბუთებული მისი ალტერნატიული ვერსიების ნამდვილობა და საკითხი მათთან მიქაელ საბაწმინდელის მარტვილობის დაკავშირებისა.

3. წამოჭრილი საკითხის ისტორიულ-კულტურული კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანია „კავკასიური ფილოსოფიის“ კონტექსტში თეოდორე აბუკურას პიროვნებისა და შემოქმედების განხილვა, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მის უშუალო მონაწილეობასთან სომხურ კულტურაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ნაშრომების გადმოქართულებასთან ქართულ ტრადიციაში. ეს კი, თავის მხრივ, ნათელყოფს კავკასიის რეგიონში თეოდორე აბუკურას ნაყოფიერ რეცეფციას, რაც ქართულ-სომხური ფილოსოფიისა და თეოლოგიის ინტერკულტურული ხასიათის ერთ-ერთი საგულისხმო ნიშანია.

4. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლის თვალსაზრისით (განსაკუთრებით კი ქართულ სამეცნიერო სივრცეში!) აღსანიშნავია თეოდორე აბუკურას მთელი ნააზრების განხილვა და ანალიზი ფილოსოფიური თეოლოგიის კონტექსტში. მასში წარმოდგენილია თეოდორე აბუკურას შემოქმედების მეთოდოლოგიურ პრინციპთა მრავალი წახნაგი და მიმართულება, რომლებიც მისი აზროვნების ტიპის დადგენისა და შეფასებისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. თეოდორე აბუკურას შემთხვევაში ფილოსოფიური თეოლოგია ისეთი ინტელექტუალური

კონსტრუქტია, რომელიც ყველაზე ნათლად წარმოაჩენს მისი აზროვნების ერთიან სტრუქტურას.

5. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თეოდორე აბუკურას მოძღვრების უმთავრესი ელემენტების თეოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზი ყურანსა და სახარებას შორის გამართული დისკუსიების ჭრილში; თეოდორე აბუკურას თხზულებები და დიალოგები, რომლებსაც ეფუძნება მისივე საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნება, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებშია განხილული და წინა პლანზე წამოწეულია ქრისტიანული ჭეშმარიტების დადგენის რაციონალური გზები. ამ კუთხით თეოდორე აბუკურას აზროვნების სპეციფიკა გამოიხატა მსოფლიო კრებათა, თავისუფლების, ტრიადოლოგიის, ქრისტოლოგიის, ხატთაყვანისცემისა და სხვ. საკითხთა გონივრული დასაბუთებისა და განხილვის შესაძლებლობაში.

## დასკვნა

თეოდორე აბუკურას შემოქმედების საგულდაგულო ანალიზი გვარწმუნებს, რომ ფილოსოფიური თეოლოგია წარმოადგენს ისეთ სააზროვნო სისტემას, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მის შემოქმედებას და მისი ნააზრევის სპეციფიკასაც განსაზღვრავს. აბუკურას ორთოდოქსული აზროვნების მკაცრი ფილოსოფიური სტრუქტურა პრაქტიკულ სიახლეს წარმოადგენდა იმჟამინდელი საღვთისმეტყველო გარემოსთვის. კერძოდ, აქ საუბარია ჭეშმარიტი ღმერთის აღმოჩენისა და ძიების არასტანდარტულ მიდგომებზე, რომლებიც, ფორმალური თვალსაზრისით, გარკვეულწილად, განსხვავდება კიდევ ორთოდოქსული მემკვიდრეობის წინა ტრადიციისგან, თუმცა, შინაარსობრივად სრულად თანხვედება მას. თეოდორე აბუკურა ერთგულია პატრისტიკული აზროვნების ლოგიკური ჯაჭვისა და ცნობიერი რელიგიურობის ფარგლებში იაზრებს ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებას. საბოლოო ჯამში, ისლამურ კულტურასთან დიალოგში, თეოდორე აბუკურას მიერ განვითარებულმა საღვთისმეტყველო ფილოსოფიურმა სისტემამ ღრმა და ამომწურავი პასუხი გასცა იმ ფუნდამენტურ განსხვავებას, რომელიც სახარებისეულ ჭეშმარიტებასა და ყურანის მიერ გაგებულ ჭეშმარიტებას შორის არსებობდა.

**New Georgian University  
Faculty of Humanities and Social Sciences**

**Besik Mashava**

# **Theodore Abu Qurrah's Philosophical Theology**

Educational program: Christian Philosophy

Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy

Resume

Poti  
2021

New Georgian University  
Faculty of Humanities and Social Sciences

Scientific supervisor: **Tengiz Iremadze**  
Doctor of Philosophy, Professor

The defense of the dissertation will take place at the Faculty of Humanities and Social Sciences of New Georgian University, at a session of the Dissertation Committee.

The dissertation is available at the library of New Georgian University (Poti, Guria str, № 1).

## Contents

Introduction .....	16
The research subject and actuality .....	16
Aim of the research .....	16
Research objectives .....	17
Hypothesis .....	17
Review of Scientific Literature and Theoretical Context of Study .....	18
Methodology .....	19
Description of Research Results .....	20
Scientific Novelty of the Work.....	21
Conclusion.....	23

## Introduction

**The research subject and actuality.** Soon after the death of Theodore Abu Qurrah (IX century), his work somehow became connected with the Georgian thought of the Middle Ages and played an important role in the development of Georgian Christian thought. More precisely, some of Theodore Abu Qurrah's works (his or about him) are included in the outstanding document of medieval Georgian thought "Dogmatikoni" compiled and edited by the famous translator Arsen Vaches-Dze. "Dogmatikoni" is one of the outstanding samples of medieval Georgian thought; it made a great contribution to the formation of theological philosophical thought. Therefore, from the point of view of studying the personality and work of Theodore Abu Qurrah, it is necessary to deal with the Georgian versions of his works and secondary academic literature, which well reflects the interest of the Georgian intellectual tradition toward the works and thought of Theodore Abu Qurrah. It is Also noteworthy to examine materials concerning the social, religious and political environment in which Theodore Abu Qurra lived, because they have great value in the discussions around Theodore Abu Qurra`s work.

In addition, the dissertation extensively studies the style and methodology of theological and philosophical thinking of Theodore Abu Qurrah, the ways he taught the Muslim community. For the Muslim community pre-existing practices of Christian thought, theological arguments and authorities were unacceptable from the very beginning. It is why his methodological system deserves attention, which follows a logical chain of thought, using dialectical and deductive tools and then introspectively comprehends the truth of the Christian faith. Accordingly, reactualization of this particular problem was conditioned from the renewed interest to Theodore Abu Qurra's thought and works, which, in turn, was caused by the study of "Dogmatikoni". An important component of this study, also includes the evaluation of foreign language publications of the last century, which played a decisive role in the study of the above-mentioned issue.

**Aim of the research.** Main goal of the study is to determine the type of thinking of Theodore Abu Qurrah and the characteristics of his Philosophical Theology. Accordingly, the present dissertation clearly establishes the characteristics of Theodore Abu Qurrah's thinking and its value for the



Orthodox faith. This, in turn, aims to present the national program of *Arsen Vaches-Dze*, the author of the “Dogmatikoni” and its far-reaching goals shaped by Orthodox religion. Thus, the substantive interpretation of Theodore Abu Qurrah's works will allow us to understand the unique character of Georgian medieval thought. In particular, following in the footsteps of Abu Qurrah's Philosophical Theology we will see the intercultural context of Georgian thought and its comprehensive interests.

Also, the purpose of the research is to gather all available information written about Theodore Abu Qurrah. It is especially noteworthy to identify the works which are related to Theodore Abu Qurrah in “Dogmatikoni” and to describe them schematically. This process, in turn, is related to searching scientific materials about Theodore Abu Qurrah, which are preserved in Georgian and foreign archives and to conduct their comparative analysis, verification of biographical data and identification of all possible original materials.

**Research objectives.** In order to create an objective picture of the personality and thinking of Theodore Abu Qurrah in the context of modern international studies, it is necessary on the one hand, to have a consistent review of Georgian scientific literature and manuscripts about Theodore Abu Qurrah and on the other to integrate existing international researches with the Georgian studies on this matter. In the late twentieth and early twenty-first centuries, the intensification of scientific research concerning the era of Theodore Abu Qurrah and the Arabic speaking Christian tradition, made it necessary to unify the interpretations of existing information and research about him. This, in turn, is associated with a deep learning and examination of his thoughts and Christian worldview. The conceptual analysis and observation of Theodore Abu Qurrah's rich intellectual heritage reveals the philosophical structure and methodological style of his theological thought, which also captures our attention and determines the scientific content of the issue.

**Hypothesis.** Theodore Abu Qurrah, as yet in the early Middle Ages, created a unique precedent for dialogue between radically different cultures and laid a good foundation for its further development. He had to work in a nontraditional space, where the traditional patristic experiences of the preaching of the Christian God practically did not achieve its own goal. Based on his style of thinking, Abu Qurrah accurately distinguished Christian Orthodox God, Islamic view of God and other nonorthodox Christian

thoughts. In particular, due to the original union of philosophy and theology, Abu Qurrah represents a unique style of Christian apology, which is based on a synthesis of knowledge and faith and the unified methodology of Christian Philosophy. This synthesis and methodology serve to implement the Orthodox purposes of Theodore Abu Qurrah, who in the dialogue with Islam, prefers the elements of knowledge in order to establish and interpret the truth. Exactly this type of thinking system determines and hence specifics his thinking and distinguishes Abu Qurrah from the thinkers of the previous tradition. It can be unequivocally said that Theodore Abu Qurrah created a unique model of Philosophical Theology, which perfectly coped with the challenges and laid a good foundation for the intellectual development of subsequent eras. That is why this present dissertation is based on this vision and aims to show and analyze the specificity of the original Philosophical Theology of Theodore Abu Qurrah.

### **Review of Scientific Literature and Theoretical Context of Study**

The cycle of scientific publications of Theodore Abu Qurrah's works starts from the 17<sup>th</sup> century and is actively going on in the modern era as well. Scholarly publishing, translations, and processing of the manuscripts belonging to Theodore Abu Qurrah have continued for centuries. Currently, translations of his works are available in almost all languages (Arabic, Ancient Greek, Latin, Ancient Georgian, Russian, German, French, Italian, English and etc.), each of them plays an important role in the study of the textual tradition of the works of Theodore Abu Qurrah.

In Georgian thought the first mention of Theodore Abu Qurrah can be found in “klarjuli Mravaltavi” (IX-X centuries). Also, the early mention of Theodore Abu Qurrah is associated with the first old Georgian edition of “Martyrdom of Michael the Sabaite”, where there are clear references to a certain episode of the life of Theodore Abu Qurrah. The next stage, from the point of view of the reception of Theodore Abu Qurrah, is associated with the “Dogmatikoni” compiled by Arsen Vaches-Dze, which contains an important part of Abu Qurrah's intellectual heritage. Later, in the twentieth century, Korneli Kekelidze conducted a large-scale study of the personality and work of Theodore Abu Qurrah. In 1939, in various issues of the “Mnatobi” magazine, Pavle Ingorokva published a study on Abu Qurrah, where he

extensively reviewed his origin and authorship. In the context of Georgian translations and publications known as of Theodore Abu Qurrah, is noteworthy the publication by Leila Datiashvili (Tbilisi: "Mecniereba", 1980), which was published in 1980 and includes a brief study. Her name is associated with numerous studies of the biography and work of Theodore Abu Qurrah. Recently, I also published several brief studies about Theodore Abu Qurrah and various aspects of his work.

### **Methodology** **(Comparativism, Hermeneutics, Interdisciplinarity)**

Due to the difficulty of the problem raised in the dissertation, it was necessary to define the basis and methodological structure of the study. This process primarily included the identification of existing materials and processing of the results obtained by the Comparative method. More precisely, for understand the textual tradition of Theodore Abu Qurrah, comparison and thematic description of the editions of Theodore Abu Qurrah's works was decisively important. In addition, this universal method of text comparison helped me to adequately understand the intellectual tasks and goals of Abu Qurrah. Also, based on a comparative analysis of existing research and publications about him, it became possible to correctly interpret the personality and work of Abu Qurrah.

An important part of this research is based on the method of Philosophical Hermeneutics and developed within its framework. The Hermeneutic analysis of existing texts aimed at an adequate accessibility to the worldview of Theodore Abu Qurrah. Moreover, in revealing the theoretical structure and specific thinking of the Theodore Abu Qurrah, I actively used various tools of the Hermeneutic method.

The dissertation uses an interdisciplinary research method, which involves considering all possible scientific disciplines (history, philology, etc.) that are necessary to understand the specifics of Theodore Abu Qurrah's Philosophical Theology. It also discusses and analyzes important, crossing issues and problems of philosophical theology, in general.

## Description of Research Results

The dissertation presents the Philosophical Theology of Theodore Abu Qurrah, an Arabic-speaking thinker of the 8<sup>th</sup> - 9<sup>th</sup> centuries. It is based on various data from his own writings, to translations and diverse research data around the author. It contains three parts and covers all issues that I considered appropriate in terms of solving and understanding the above-mentioned task.

First, I present the historical context and description of the existing scientific literature about Theodore Abu Qurrah, which consists of three subsections. The first subsection presents an extensive history of the textual tradition about Theodore Abu Qurrah's works, which includes an overview of publications made in Arabic, Ancient Greek, Latin, Old Georgian, Russian, German, French, Italian and English languages. The next subsection presents a description and a list of manuscripts containing the works of Theodore Abu Qurrah, which are composed according to the oldest manuscript S-1463 (XI-XII centuries) in Georgia. Finally, we will take a closer look at the existing Georgian scientific research about Theodore Abu Qurrah and assess the relationship between the mentioned studies and the results of modern research.

The second part of the thesis examines the historical and cultural aspects of the life and work of Theodore Abu Qurrah. First of all, the problematic aspects of biographical data are concerned, it is difficult to say anything definite about the details of his life. The above-mentioned part also presents the relationship between the two Old Georgian editions of "Martyrdom of Michael the Sabaite" and the personality of Theodore Abu Qurrah. Furthermore, the role of Theodore Abu Qurrah is discussed in the context of the concept of "Caucasian philosophy". Namely, I present a close connection between the medieval Armenian and Georgian theological philosophical traditions and Theodore Abu Qurrah works. The same section contains the assessment of the Melkite community and the socio-political environment of the earlier Abbasid era, in which Abu Qurrah served as a Christian bishop. Work also examines the intellectual environment of Arabic-speaking theology and apologetics, which is distinguished by its vivid philosophical character.

In the third part of the dissertation, by analysis of Theodore Abu Qurrah's own writings and dialogues, is presented the theological and philosophical thought of Theodore Abu Qurrah, which is discussed in the framework of the Christian worldview. The examined issues are thematically structured, such structurization allows to present and see Theodore Abu Qurrah as a thinker within the context of Christian philosophy. Initially I discussed the purpose, objectives and methodological principles of the author's Christian philosophical theology, which are formed as a result of observations on his own works. The philosophical character of his theology is presented on the basis of philosophical concepts, rational arguments, "Natural Theology" and moral categories. Also, based on the Theodorian interpretation of the ecumenical council, his apologetic goals are presented, which demonstrate a clear substantive correspondence with the Byzantine Orthodox tradition. Therefore, I refer in detail to the doctrine of icon's veneration of Theodore Abu Qurrah, which (along with other literature in Greek) occupies a prominent place in discussions of the worship of sacred icons. I also discuss Theodore Abu Qurrah's views on freedom, which is all-embracing and could be consider as the best examples of intercultural dialogue; also, Abu Qurrah's interpretation of Triadology and Christology in discussions between the Quran and the Gospel should specifically mentioned, which is originally developed following the Orthodox and patristic tradition.

### **Scientific Novelty of the Work**

1. For the first time in the Georgian academic studies, I gathered the textual tradition of works related to Theodore Abu Qurrah; provided a detailed description of the existing scientific literature about him and finally analyzed its thematic history. In particular, in the light of modern research the dissertation reevaluates existing Georgian publications and articles about Theodore Abu Qurrah. It should be noted that this dissertation would be useful for understanding Arsen Vaches-Dze's worldview and the importance of "Dogmatiokoni", because it clearly shows the inner connection of the author's programmatic visions and the worldview of Theodore Abu Qurrah.

2. In the framework of the study of the historical and cultural aspects of the life and work of Theodore Abu Qurrah, the thesis presents the relationship between Georgian edition of "Martyrdom of Michael the Sabaite"

and the results of existing international scientific research, concerning the same issue. My analysis revealed a skeptical attitude towards the Georgian edition of “Martyrdom of Michael the Sabaite”, according to which this Georgian edition considered as a fictional story. Consequently, in my opinion, this proposition is exaggerated, and it cannot be taken into the consideration fully, until the authenticity of its alternative versions is not confirmed and the “Martyrdom of Michael the Sabaite’s” connection with them is not verified.

3. Within the framework of the historical and cultural study of the raised issue, it is important to discuss the personality and work of Theodore Abu Qurrah in the context of the concept of “Caucasian philosophy.” On the one hand such discussion is connected with Abu Qurrah direct presence in Armenian culture, on the other, with the Georgian translation of his works. This, in turn, clarifies the reception of Theodore Abu Qurrah in the Caucasus region and the international Character of Georgian-Armenian Philosophy and Theology.

4. Concerning the scientific novelty of this dissertation, (especially in Georgia!), it is noteworthy to discuss and analyze the whole thought of Theodore Abu Qurrah in the context of Philosophical Theology. It presents many aspects and directions of Abu Qurrah's methodological principles, which are main determining factors for establishing and evaluating his type of thinking. In the case of Theodore Abu Qurrah, Philosophical Theology is the kind of intellectual construct that most clearly and unambiguously reflects the unified structure of his thinking.

5. The scientific novelty of the work is theological and philosophical analysis, which is conducted concerning the basic elements of the teachings of Theodore Abu Qurrah in the context of discussions between the Qur'an and the Gospel. Theological and philosophical thinking based on the works and dialogues of Theodore Abu Qurrah is considered in the context of the Christian worldview. In this case, primary importance has the rational ways of establishing and accessing truth of Christianity. In this regard, the specificity of Theodore Abu Qurrah's thought is reflected in the ability to reasonably substantiate and consider the legitimacy of the ecumenical councils, of the issues of freedom, triadology, Christology, veneration of icons, and etc.

## Conclusion

A careful analysis of the works of Theodore Abu Qurrah convinces us that Philosophical Theology is a system of thought, this approach is a certain redline of his works and it determines the specifics of his thought. The strict philosophical structure of Abu Qurrah's Orthodox thinking was a practical novelty for the theological milieu of that time. In particular, I mean the extraordinary approaches to the discovery and search of the true God, where, perhaps, from a formal point of view some differences are presented, however according to content it is in a complete harmony with the past traditions of the Orthodox heritage. Theodore Abu Qurrah adheres to the logical chain of Patristic thinking and within the framework of conscious religiosity comprehends the truth of the Christian faith. Finally, Theodore Abu Qurrah's Theological system, which was developed in the dialogue with representatives of different cultures, provided a deep and comprehensive answer to the fundamental differences that existed between the truth of the Gospel and the truth of Quran.

